ლალი ოსეფაშვილი,

საქართველოს შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი

შესაქმის ილუსტრირების საკითხი გვიანი შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში

ბიბლიური, სამყაროს შესაქმის სცენების ილუსტრირება, სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე ქართულ ხელნაწერში შემოგვრჩა. ესენია: ჯრუჭის ფსალმუნი, XIII-XVსს. (H-1665); თეთროსნის დავითნი, XVIIს. (H-75); ყანჩაეთის ჟამნ-გულანი, 1674 წ. (H-1452); ფსალმუნი XVII ს. (H-2078); ყველა ეს ხელნაწერი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მნიშვნელოვანია ასევე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის სამხრეთი კედლის XVII საუკუნით დათარიღებული მოხატულობა მასში ჩართული შესაქმის ილუსტრაციით.

ჩემი მოხსენების მიზანია, გამოვიკვლიო ქართულ ხელოვნებაში გამოვლენილი სამყაროს შექმნის, ანუ შესაქმის სცენები, შევისწავლო მათი კომპოზიციური წყობა, იკონოგრაფია და გამოვკვეთო თავისებურებები ბიზანტიურ ხელოვნების, ბიზანტიური წრის ქვეყნების, პოსტბიზანტიურ და დასავლეთ ევროპის ხელოვნების ნიმუშებთან მიმართებით, რის საშუალებასაც გამოქვეყნებული მასალები იძლევა.

ქართული ხელნაწერები მრავალმხრივაა საყურადღებო, მკვლევარებმა გაიარეს ის ეტაპი, როდესაც მხოლოდ აღწერა და ქრონოლოგიური ზღვარის დადგენა იყო მათი შესწავლის ობიექტი. ვფიქრობ, ამ ეტაპზე აქტუალურია, კონტენტის გამოკვეთა, სამინიატიურო და მონუმენტური მხატვრობის ერთ სიბრტყეზე შესწავლა თემატური კუთხით და შინაარსობრივად ეპოქის საერთო სურათში ჩაწვნა. დასურათებული ძველი აღთქმისეული სცენები ქრისტიანულ ხელოვნებაში, შემონახულია დურა-ევროპოსში, რაც საფუძვლად დაედო ადრექრისტიანულ იკონოგრაფიას. როგორც ცნობილია, ილუსტრირებული ბიბლია ადრეული შუა საუკუნეებიდან, სამწუხაროდ, არ შემოგვრჩა. მით უფრო მნიშვნელოვანია ყანჩაეთის ჟამნ-გულანის მინიატიურები, სადაც რვეულად აკინძულ ფურცლებზე მოცემულია შესაქმის სცენები შემდეგი თანამიმდევრობით: 1. ცისა და მიწის შექმნა, 2. დღისა და ღამის შექმნა, 3. ქვეყნიერების შექმნა, 4. ადამი ედემის ბაღში, 5. მძინარე ადამის ნეკნიდან ევას შექმნა და 6. ევას ცდუნება. მეცნიერთა აზრით, ამ ხელნაწერის ერთგვარ პროტოტიპად შესაძლოა, მივიჩნიოთ XII საუკუნის ბერძნული ოქტატევხი სმირნიდან. სამყაროს შექმნის სცენები გარდა ყანჩაეთის ჟამნ-გულანისა გვხვდება ფსალმუნთა ილუსტრაციებშიც. კერძოდ, 103-ე ფსალმუნს, ცნობილია, რომ ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით ჰქვია: ,,ფსალმუნი დავითისი, სოფლისშესაქმისათჳს“ და ამ ფსალმუნშიც მეფე დავითი გადმოგვცემს სამყაროს შექმნის სურათებს და ჯრუჭისა და თერთროსნის დავითნებში გვხვდება მაგალითად, ფს. 103, 21 - ,,პირუტყვთა დაბადება,“ფს. 103,19 -,,ცისა და მიწის შექმნა“, ფს. 103,4 - ,,ანგელოზთა დაბადება.“ ასევე სვეტიცხოვლის ფრესკაზე გვხვდება 103-ე ფსალმუნის ილუსტრაცია 148-150-ე ფსალმუნთა გვერდით და უფრო საზეიმო ხასიათი აქვს მიცემული, ანუ მოცემულია ძველი აღთქმისეული ისტორიული მოვლენების თანამიმდევრული დასურათება. ინტერსს იპყრობს

ის გარემოება, რომ ყანჩაეთის ჟამნ-გულანში სამყაროს შემოქმედი მამა ღმერთია გამოსახული შესაქმის სცენებში, მაშინ როცა, ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშებში დასავლეთ ევროპის ხელოვნებისაგან განსხვავებით მამა ღმერთი არ გამოისახებოდა. მხატვართა ენაზე უფლის მარჯვენა თავისებური გამოხატულებაა მამა ღმერთისა - აღნიშნავდა ერთ-ერთი ღმრთისმეტყველი და საუკუნეების მანძილზე ცის სეგმენტში გამოსახული ხელი განიმარტებოდა, როგორც სიმბოლო მამა ღმერთისა. პოსტბიზანტიურ ხანაში თეოლოგიური აზროვნება ერთგვარ განვითარებას განიცდის, რაც ხელოვნებაშიც აისახა.

ნაშრომში დასმული პრობლემის კვლევისთვის მივმართავ იკონოგრაფიულ, კონტენტ-ანალიზისა და შედარებით, ანუ კომპარატივისტულ მეთოდებს, რომლებიც აპრობირებულია ხელოვნებათმცოდნეობით სამეცნიერო ლიტერატურაში.

საკითხი, რომელიც დასმულია მოხსენებაში აქტუალურია და სიახლეა, რამდენადაც შესაქმის სცენების ერთობლიობა ქართულ სამინიატიურო და მონუმენტურ მხატვრობაში ერთად, კომპლექსურად არავის უკვლევია და არ წარმოუჩენია მათი სრულყოფილი იერსახე. სხვადასხვა ხასიათის სასულიერო შინაარსის წიგნები, როგორებიცაა ჟამნ-გულანი და ფსალმუნნი წარმოგვიდგენენ ბიბლიური ხასიათის სცენებს და მათი დასურათება გვიან ფეოდალურ ხანამდე არ იყო აქტუალური, რადგან ბიზანტიურ ხელოვნებაში სხვა აქცენტები იყო დასმული. მაგალითისათვის მოვუხმობ სერბი სიმა ტომიჩის XIV საუკუნის ბულგარულ ფსალმუნს, სადაც შესაქმის ილუსტრაციებში ნაცვლად მამა ღმერთისა იესო ქრისტეა გამოსახული, რაც იკონოგრაფიითა და მინაწერებითაც დასტურდება. ამრიგად, საკითხი მეტად მრავალმნიშვნელოვანი და აქტუალურია და კვლევისას მიღებული შედეგებით დაინტერესდებიან როგორც ქრისტიანული თეოლოგიის, ისე ქართული და პოსტბიზანტიური ხანის მკვლევარები.

Lali Osepashvili,

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

The Issue of Illustration of Genesis in Georgian Painting of the Late Middle Ages

Illustrations of the biblical Genesis scenes, unfortunately, are preserved in only a few Georgian manuscripts. These are: Jruchi Psalter, 13th-15th cc. (H-1665); Tetrosani Psalters, 17th c. (H-75); Zhamn-Gulani from Kanchaeti, 1674, (H-1452); Psalter 17th c. (H-2078); the mentioned manuscripts are preserved in the National Center of Manuscripts of Georgia and the painting of the south wall of Svetitskhoveli, dating back to the 17th c., also includes an illustration of Genesis.

This report aims to study the scenes of Genesis presented in Georgian art, their compositional form, iconography and peculiarities in relation to Byzantine, post-Byzantine and Western European works of art, to the extent of published materials.

Georgian manuscripts are noteworthy in every way, researchers have passed the stage of description and chronology. I think, now, it is important to outline the content, study the miniature and monumental paintings on one plane, thematically, and to fit the content into the overall picture of the epoch. Old Testament scenes in Christian art are preserved in Dura-Europos, the basis of pre-Christian iconography. Unfortunately, the illustrated Bible from the early Middle Ages has not survived. The miniatures of Kanchaeti Zhamn-Gulani complement this gap, the binding sheets displaying the Genesis scenes in the following order: 1. Creation of heaven and earth, 2. Creation of day and night, 3. Creation of the world, 4. Adam in the Garden of Eden, 5. Creation of Eve from the rib of sleeping Adam and 6. The temptation of Eve. Scholars believe that a 12th century Greek Oqtateuch from Smyrna may be considered a prototype of this manuscript. Scenes of Genesis, in addition to Kanchaeti Zhamn-Gulani, can also be found in the illustrations of the Psalter. Namely, according to ancient Georgian manuscripts, Psalter 103 is known as "Psalter of David, for the genesis of the world", and genesis scenes are also illustrated. For example, Psalter 103, 21 - "Creation of cattle," Psalter 103.19 - "Creation of heaven and earth", Psalter 103.4 - "Creation of Angels." Also the illustration of Psalter 103 is found on the fresco of Svetitskhoveli next to Psalters 148-150 and has a solemn character, sequential depiction of historical events of the Old Testament. It is interesting that Kanchaeti's Zhaman-Gulani depicts the Creator of the universe, the Father, in the scenes of Genesis, while the Byzantine art does not. For artists, the Lord's right hand is a peculiar monogram of the Father - noted by one theologian, and for centuries the hand depicted in the celestial segment has been interpreted as a symbol of the Father. In the post-Byzantine era, theological thinking underwent a variation, which was reflected in art.

For the study of the problem, I refer to the iconographic, content-analysis and relative, or comparative research methods, which have been adopted and tested in the scientific literature.

In conclusion, the issue raised in the report is relevant and new, as there is no complex approach and the synchronous study of the combination of the Genesis scenes in the Georgian miniature and monumental paintings; thus, no one has presented their wholesome appearance. Books of various

theological content, such as Zhamn-Gulani and the Psalter, present scenes of a biblical nature, and their depiction was not relevant until the late feudal era, as other accents were emphasized on Byzantine art, e.g. I will cite the Bulgarian Psalter of the 14th century by Serbian Sima Tomich, which instead of the Father depicts Jesus Christ in the illustrations of Genesis, also confirmed by iconography and inscriptions. Thus, the issue is very important and applicable, and the results obtained during the research will interest specialists studying Christian theology and Georgian and post-Byzantine periods.